ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №380861

ნომერი: AR159757

თარიღი : 22.06.2012

გაცემის თარიღი : 05.10.2012

გაცნობის თარიღი : 19.10.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღომი-გლდანის შემაერთებელი მაგისტრალის ჩრდილოეთით, ბელიაშვილის ქუჩის გაგრძელება ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა შენგელია პ/ნ 62004008476
- გულრიფში ს. დრანდა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ–ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილო ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკონსტრუქციო სამუშოების განხორციელება. წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს არქიტექტურული იერსახის მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც მოსაპირკეთებელი მასალების, ასევე ფერის გადაწყვეტის ნაწილში, სასურველია გამოყენებულ იქნას თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები. რაც შეეხება აბრა "სახინკლე"–ს, შეიცვლაოს უფრო თანამედოვე დიზაინით და შესრულდეს თანამედროვე მასალით. აგრეთვე შემცირდეს აბრების რაოდენობაც.

გარდა ამისა:

– მოთხოვნის შინაარსის ტექსტში მიუთითეთ ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ და შესაბამისად აირჩიეთ ნომენკლატურა – "სარეკლამო აბრები" და "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება-რეკონსტრუქცია"

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.